თემა 11 დეტექციისა და პრევენციის ხერხები

დავალება / თვითშეფასება

დავალება №1

წარმოიდგინეთ, საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელშიც თქვენ ასწავლით, არ იყენებს ტექსტის სხვა წყაროებთან თანხვედრის მაჩვენებლის/პლაგიატის ამომცნობ სპეციალურ პროგრამას. თქვენი აზრით, როგორ შეძლებთ აღნიშნული თანხვედრის აღმოჩენას (როგორ შეძლებდით აკადემიური კეთილსინდისიერების დარღვევის შემთხვევების იდენტიფიცირებას)? როგორ შეძლებთ თანხვედრის არგუმენტირებულად დადასტურებას?

დავალება №2

გთხოვთ, მოამზადოთ ინსტრუქცია დავალებისთვის, რომლის ატვირთვაც იგეგმება სხვა წყაროებთან თანხვედრის მაჩვენებლის/პლაგიატის ამომცნობ სპეციალურ პროგრამაში (მაგალითად, Moodle-ს პლატფორმაზე).

გთხოვთ, დავალების მოსამზადებლად გაითვალისწინოთ შემდეგი საკითხები:

- რა ტექნიკურ დეტალებზე გაამახვილებთ ყურადღებას დავალების ინსტრუქციის მომზადების დროს?
- რა რეკომენდაციებს მისცემთ სტუდენტებს დავალების შინაარსობრივ მხარესთან დაკავშირებით?
- ინსტრუქციის თანახმად, რა ვადას მისცემთ სტუდენტებს დავალების შესასრულებლად?
- რამდენი ხნით ადრე ატვირთავთ ინსტრუქციას შესაბამის პლატფორმაზე?